სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

22 იანვარი, 2024 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/07

პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის სამსახურებრივი ბარათის (MES 6 23 0001759789, 25.12.2023) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. დამტკიცდეს წინამდებარე დადგენილების **N1 დანართის** შესაბამისად „პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“.
2. **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი** ,,ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 05 თებერვლის №06-01/06 დადგენილება.
3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (საუნივერსიტეტო აქტებში, დადგენილებების და ასევე პროფესიული ცენტრის ველში).
4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეებს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, საზოგადებასთან ურთიერთობის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
5. დადგენილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის
№06-01/07 დადგენილების
დანართი N1

პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე მეთოდოლოგია ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმისშოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში - ,,ბსუ" ან ,,უნივერსიტეტი" ან ,,დაწესებულება") პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების, გაზიარების, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვის, სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის პროცედურებს, შეტანილი ცვლილებების შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირების გზებს, დაგეგმილი აქტივობების შესრულების მონიტორინგის და შეფასების ღონისძიებებს.

2. ბსუ-ს მიერ დაგეგმილ აქტივობებში იგულისხმება პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული ამოცანები, აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, განხორციელების ვადები, რესურსები, პასუხისმგებელი და განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები.

3. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის დასრულების შედეგად შემუშავებული უნდა იყოს:

ა) პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს გრძელვადიანი (შვიდწლიანი) სტრატეგიული განვითარების გეგმა (შემდეგში - **სტრატეგიული გეგმა");**

ბ) პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (შემდეგში - ,,**სამოქმედო გეგმა").**

მუხლი 2. სტრატეგიული გეგმა და სამოქმედო გეგმა

1. **პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა** (7-წლიანი) არის დაწესებულების მიერ მრავალწლიან პერსპექტივაში დანახული განვითარების მიმართულება.

2. **პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს სტრატეგიული გეგმა ანალიტიკური ტიპის** დოკუმენტია და ეფუძნება ბსუ-ს მისიას, ხედვას, ღირებულებებს და სტრატეგიული განვითარების გეგმას; არის რეალისტური, დროში გაწერილი და წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მეშვეობით შესაძლებელია მათი შედეგების შეფასება. სტრატეგიული დაგეგმვა ითვალისწინებს არსებული ვითარების ობიექტურ ანალიზს (შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნები, საერთაშორისო სტანდარტები, საქართველოს საკანონმდებლო და შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები), არსებული რესურსების (ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური, სასწავლო, ფინანსური, საინფორმაციო) გაანალიზებას, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას (SWOT ანალიზი), მათი დაძლევის მექანიზმების შემუშავებას, რისკების განსაზღვრას და

მომავლის გრძელვადიან პროგნოზს.

3. **პროფესიული განათლების მიმართულებით სამოქმედო გეგმა** (1-წლიანი) განსაზღვრავს სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი მიზნების მიღწევისათვის საჭირო კონკრეტულ ნაბიჯებს, პრიორიტეტების, მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად კონკრეტულ აქტივობებს, მათი შედეგების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს, შესრულების ვადებს, ბიუჯეტსა და დაფინანსების წყაროს ერთი კალენდარული წლისათვის.

მუხლი 3. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი

1. სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს დაინტერესებული პირების ჩართულობას (უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, პერსონალი, პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, დამსაქმებლები/პარტნიორი დაწესებულებები და სხვა დაინტერესებული მხარეები). დაინტერესებულ მხარეებს შორის ხდება პასუხისმგებლობის გადანაწილება, როგორც სტრატეგიული დაგეგმვის, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შესრულების პროცესში.

2. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი და პროცედურები შედგება შემდეგი ფაზებისგან:

ა) სტრატეგიული დაგეგმვის ინიცირება;

ბ) სტრატეგიული გეგმის შემუშავება, განხილვა და დამტკიცება;

გ) სამოქმედო გეგმის შემუშავება, განხილვა და დამტკიცება;

3. სტრატეგიული დაგეგმვის და მოქმედ გეგმაში გადახედვის ინიცირება ხდება ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის (შემდეგში - ცენტრი) დირექტორის მიერ, შემდეგ ვადებში:

ა) სტრატეგიული დაგეგმვის ინიცირება - სტრატეგიული გეგმის ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე;

ბ) მოქმედი გეგმის გადახედვის ინიცირება - გადახედვის ვადამდე <u>არანაკლებ 2 თვით ადრე.</u>

4. მოქმედი გეგმის გადახედვის ინიცირება შესაძლებელია გარე თუ შიდა ფაქტორების წარმოჩენის შემთხვევაში, რომელიც გავლენას ახდენს უნივერსიტეტის განვითარებაზე და საჭიროებს სტრატეგიულ რეაგირებას.

5. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვის მიზნით ბსუ-ს რექტორის ბრძანებით იქმნება სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავებაზე, ამ პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობასა და ინფორმაციის გაზიარებაზე.

6. სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფს ხელმძღვანელობს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, ხოლო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ცენტრის პერსონალი, ბსუ-ს სხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, დამსაქმებლები. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით შესაძლებელია მოწვეული იქნეს გარე ფასილიტატორი/ფასილიტატორები (განათლების ექსპერტები).

მუხლი 4. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება, განხილვა და დამტკიცება

1. სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის მიერ სტრატეგიული გეგმის შემუშავება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) უნივერსიტეტის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული განვითარების გეგმის გაცნობა;

ბ) პროფესიული განათლების მიმართულებით არსებული სიტუაციის ანალიზის დოკუმენტის (მათ შორის SWOT ანალიზის) შექმნა;

გ) სტრატეგიული გეგმის/სამოქმედო გეგმის ერთიანი დოკუმენტის პირველადი ვერსიის შემუშავება;

დ) სტრატეგიული გეგმის/სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის ფინანსური ექსპერტიზა;

ე) სტრატეგიული გეგმის/სამოქმედო გეგმის საჯარო განხილვა;

ვ) სტრატეგიული გეგმის/სამოქმედო გეგმის დამტკიცება.

2. სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი ვალდებულია სტრატეგიული გეგმის/სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავების პროცესში ჩართოს დაინტერესებული მხარეები, ორგანიზება გაუწიოს სამუშაო ჯგუფებში შეხვედრებს, სტრატეგიის შემუშავების პროცესში გაითვალისწინოს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგები.

3. დაინტერესებული მხრიდან უკუკავშირის მიღების მიზნით, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი სტრატეგიული გეგმის/სამოქმედო გეგმის სამუშაო ვარიანტს უგზავნის დაინტერესებულ მხარეებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან/და უზიარებს სამუშაო შეხვედრებზე.

4. პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმას და სამოქმედო გეგმას ამტკიცებს ბსუ-ს აკადემიური საბჭო და საჯაროდ ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

მუხლი 5. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგი

1. ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგის და შეფასების მიზანია ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული მიზნებით, ამოცანებითა და აქტივობებით განსაზღვრული შედეგების შესრულების შემოწმება, ხარვეზების გამოვლენა და რეკომენდაციების განსაზღვრა, შედეგებისა და მიღწევების დეტალური შესწავლა და შესაძლო გავლენის დადგენა და მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელება (საჭიროების შემთხვევაში).

2. მონიტორინგი ხორციელდება:

ა) სტრატეგიული გეგმის - <u>3 წელში ერთხელ;</u>

ბ) სამოქმედო გეგმის - <u>3 თვეში ერთხელ.</u>

3. ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგის და შეფასების პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი.

4. მონიტორინგის განხორციელების მიზნით ბსუ-ს რექტორის ბრძანებით იქმნება

მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ბსუ-ს რექტორის მოადგილე (პროფესიული განათლების მიმართულებით საკოორდინაციო სფეროს შესაბამისად).

5. მონიტორინგის ჯგუფი სამუშაო პროცესში ხელმძღვანელობს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით, პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით და ამ გეგმებით განსაზღვრული აქტივობების შესრულების ეფექტური მონიტორინგისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა აქტებით ან/და დოკუმენტებით.

6. **მონიტორინგის ჯგუფმა ამ მეთოდოლოგიის მიზნებისათვის უნდა განახორციელოს:**

ა) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და პერიოდული ანალიზი;

ბ) დაგეგმილი აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებული რისკების დროული გამოვლენა;

გ) დაგეგმილი აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებული დაბრკოლებების (ხარვეზების) აღმოსაფხვრელად რეკომენდაციების შემუშავება;

დ) დაგეგმილი აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებით სტრუქტურული ერთეულების/პირების დროული ინფორმირება და პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

ე) მონიტორინგის ჯგუფის პროგრეს-ანგარიშის (პერიოდულობა: 3, 6 და 9 თვე) და წლიური ანგარიშის შემუშავება და წარდგენა;

ვ) მონიტორინგის მიზნით მისაღწევი სხვა აქტივობები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. **მონიტორინგის ჯგუფის პირველ სამუშაო შეხვედრაზე ხმათა უმრავლესობით:**

ა) აირჩევა სამუშაო ჯგუფის სხდომის მდივანი, რომელიც შეხვედრის მიმდინარეობას და მიღებულ გადაწყვეტილებებს ასახავს ოქმში (მოკლედ, განზოგადებულად);

ბ) მონიტორინგის ჯგუფის წევრებს განესაზღვრებათ საკურაციო მიმართულებები;

გ) დაიგეგმება თითოეულ საკურაციო მიმართულებაში დაგეგმილი აქტივობების შესრულებისათვის მონიტორინგის გეგმა ან/და განისაზღვრება ჩასატარებელი კვლევის საჭიროება.

მუხლი 6. სტრატეგიულ გეგმაში და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა

1. პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს სტრატეგიულ გეგმაში/ სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მონიტორინგის და შეფასების საფუძველზე მომზადებული მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშის საფუძველზე.

2. პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიულ გეგმაში/სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის ინიცირებით, სტრატეგიულ გეგმის/ სამოქმედო გეგმის დამტკიცებისა და საჯაროდ ხელმისაწვდომობისათვის წინამდებარე მეთოდოლოგიით დადგენილი პროცედურების.